№ 50 8 მაისი, კვირა 1866—1877 8 მაისი, კვირა № 50

დროება

ГАЗЕТА „ДРОЭБА“

ГАЗЕТА „ДРОЭБА“

РЕДАКЦІЯ

ბანოვის ქუჩაზ, სტ. მელიქიშვილის სტამბაში, ამატუნის სახლებში. —

ХЕЛИС-МОЦВЕРА

Редакція и типографія Меликова.

ГАЗЕТИС ФАСИ

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

ГАЗЕТА ВЫХОДИТ ТРИ РАЗА В НЕДЕЛЮ

ГАЗЕТА ВЫХОДИТ ТРИ РАЗА В НЕДЕЛЮ

ГАНСАХАДЕБА

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულს ენებზე. —

ГАНСАХАДЕБИС ФАСИ

Дидо асоебити, асозе — 1 коп., асо-мцхрулиа стриконзе — 8 коп., циклеоситі, стриконзе — 5 коп., და петитити — 4 коп. —

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებ და შემოკლებს გამოგზავნილ სტატიებს. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკე ნომრები „დროებისა“ ისყიდება:

ვართანოვის წიგნის მაღაზიაში (ქუჩის ხიდზე, მირზოევის შენობაში)
გრიბოედოვის წიგნის მაღაზიაში (ქუჩის ხიდთან, ზუბალოვის სახლში)
„კარდანახის“ სარდაფში (სასახლის ქუჩაზე, ალექსეევის ქარვასლაში)
„სულთანის“ თამბაქოს მაღაზიაში (სუდის ქვეშ)
ადამოვის კანტორაში (სიონის პირ-დ-პირ)
სტეფანოვის მაღაზიაში (შუა ბაზარში)
გრიგოლოვის მაღაზიაში („კავკაზის“ სასტ. ქვეშ, მირზოევის სახლებში.

ფასი თითო ნომრისა — 5 კაპეიკი

ტელეგრამები

ბრძოლის ველიდან

ახალქალაქი, 6 მაისს. არდაგანი წინა სიმაგრეებით, სამოცი ზარბაზნით, აუარებელი ხორაგით და არტილერიის საჭირო მასალებით, თოთხმეტი ოსმალელი ბატალიონის ბანაკით და თავათ ქალაქი არდაგანიც მისი იმპერატორებითი უმაღლესობის ფეხთაქვეშ იმყოფება.

5 მაისს 3 საათიდან ვიდრე 6 საათამდე არტილერიის განუწყვეტელმა და მარჯვეთ სროლამ სრულიად ბოლო მოუღო ციხის სიმაგრეებს. 6-ს საათზე იერიშით მიეიდნენ: თეოლისის, ერევნის და ბაკინის ჰოლკები და საპიორები. მტერმა ვეღარ გაუძლო აუარებელს მოწოლილს ძალას და გაიქცა. ომის ველზე უანგარიშო დახოცილები დაავდო; ჩვენმა კავალერიამ, თუმცა ბნელოდა, მაგრამ მტერს მაინც უკან გამოედევნა.

საღამოს 9 საათზე ჩვენი ჯარები თავათ ქალაქში შეეიდნენ და დაიარეს იმისი ქუჩები და ეველა სიმაგრეები ერთის აღტაცებით და მუსიკით, რომელიც „Боже царя храни“-ს უკრავდა.

ჩვენი ზარალი ჯერ კიდევ არ არის მოყვანილი ცნობაში. ჯერ ჯერობით ჩანს, რომ მოგვიკლეს 1 აფიცერი და 50 სალდათი, დაგვიჭრეს 4 აფიცერი და 180-მდე სალდათი.

სხვათა შორის ერთი ფაშაა დატყვევებული.

ეს გამარჯვება გენერალ-ლეიტენანტის გეიდენანის წინამძღოლობით მოხდა.

ალაგეზი, 4—5 მაისს. დღეს დილით 8 საათზე 44 დიდი ზომის ზარბაზნები მიადგნენ არდაგანის სიმაგრეებს. ექვსი საათის განმავლობაში განუწყვეტელი და საშინელი სროლა იყო. ნაშუადღევის ჰირველს საათზედ ერთსა და იმავე დროს იერიშით მიადგნენ უმთავრესს სიმაგრეს გელავერდის, სამხრეთით — გენ.-მაიორის ლორის-მელიქოვის ატრიადი და ჩრდილოეთიდ — გენ. დეველის. — ოსმალები ერთ ერ ძლიელ მამაცად დახვდნენ, მაგრამ ბოლოს, დიდ ძალის ჯარის მიწოლის შემდეგ, მიატოვეს სიმაგრე და გაიქცნენ. სიმაგრე ელიზავეტოპოლის ჰოლკმა დაიჭირა; ამ ჰოლკს ბოლოს დროს ერევნისა და ბაკინსკის ჰოლკებიც მიეხმარენ. —

გელავერდის მდებიარება შესანიშნავია, რადგან იქედან, თითქოს ხელის გულზე, ისე დაჭეურებ გარშემო მდებიარე ადგილებს. ამ ფორტის სიმაგრეები ინგლისელების აშენებულია.

მტერს დაატოვებიეს: ცხრა ზარბაზანი, უანგარიშო ჰატრონები და რამდენიმე ტყვე. ჩვენის მხრით კი ასსზედ მეტი დაჭრილი და მკვდარი არ იქნება.

ვლოეშტი, 4 მაისს. რუმინიის მთავარმა კარლმა ნახა დუნაის არმიის სარდალი, მისი იმპერატორებითი უმაღლესობა. ჩვენს ჯარებს ჯერ შეტაკება არ ჰქონიათ ოსმალოს ჯარებთან, გარდა იმისა, რაც ცოტა რამ სროლა ჰქონდათ ვიდდინთან და ოლტენიცთან. —

ალექსანდროპოლი, 4 მაისს. დღეს ეარსის გარშემო დავლაში მონაწილეობა მიიღეს: მინგრელსკის ჰოლკმა, გრენადერის ბრიგადის ძე 5 და 6 ბატარეიამ და დაღესტნის ირეგულიარული ბრიგადის 800 კაცმა. კარაბაბასები და ორი სოტნა ალექსანდროპოლის ცხენოსანი ჯარისა, რომელნიც წინ მიდიოდნენ უკუქცეულ იქნენ ოსმალოს 1000 კაცი დრაგუნით და 8 ბატალ. ქვეითის ჯარით. ჩვენების მისაშველებლათ რაღესტნელების 6 სოტნა იყო გაგზავნილი. გაცხარებული ბრძოლა შეიქმნა. დაღესტნელებმა ისიშვლეს ხმლები და თავგანწირულათ, იერიშით მივიდნენ, მტერმა დაჭრილებს გარდა 64 მკვდარი დასტოვა ომის ველზე — რამდენიმე თოფი, ორი ტყვე და რამდენიმე ცხენი დაატყვევეს ჩვენებმა. მოგვიკლეს: ერთი მილიციის აფიცერი და 20 ურიადნიკი, დაგვიჭრეს 5 მილიც. აფიცერი და 54 ურადნიკი. ძრიელ ძმიმედ, მარცხენა გეერდში დასჭრეს მისსი იმპერატორებითის განმავლობაში განუწყვეტელი და საშინელი სროლა იყო. ნაშუადღევის ჰირველს საათზედ ერთსა და იმავე დროს იერიშით მიადგნენ უმთავრესს სიმაგრეს გელავერდის, სამხრეთით — გენ.-მაიორის ლორის-მელიქოვის ატრიადი და ჩრდილოეთიდ — გენ. დეველის. — ოსმალები ერთ ერ ძლიელ მამაცად დახვდნენ, მაგრამ ბოლოს, დიდ ძალის ჯარის მიწოლის შემდეგ, მიატოვეს სიმაგრე და გაიქცნენ. სიმაგრე ელიზავეტოპოლის ჰოლკმა დაიჭირა; ამ ჰოლკს ბოლოს დროს ერევნისა და ბაკინსკის ჰოლკებიც მიეხმარენ. —

ფელეტონი

კიშინევიდან.

წარსულ თვის, ესე იგი მარტის 23-ს დილის მეათე საათზედ, ჩავჯექი ვაგონში და დავზუვდი რუსეთისაკენ....

ბადმოელახე თერგისა და ყუბანის თემი, მცირედი ნაწილი შავის ზღვის მდებიარობისა, დონის მდებიარობა და თვით მდინარე დონიც; და მეორე დღეს მოველი როსტოვში დონზედ.

თერგისა და ადგილ-ადგილ ყუბანის თემში ხეხილი და მდელო აღყვავებული იყო, ხოლო დონის მდებიარობიდან დაწყობილი რუსეთისკენ თოვლი და სიცივე მოგვეგება. მდინარე დონიც დინჯათ და მძლავრათ ღელდებოდა და ჩემს შემდეგ კიდეც მიენგრია ახლო-მახლო შენობები და უმეტესათ ზედ გადადგმული რკინის გზა.

როსტოვში ერთი დღე და ღამე დავრჩი და როგორც იქაურ ნაცნობებმა დამარწმუნეს და რამდენიმედ ჩემის შენიშვნითაც ვსცანი, იქ ყოველ გვარი ვაჭრობა ძალიან ძირს დაცემულა ამ ომიანობის გამო. თვით ქალაქი ბექურზედ არის გაშენებული; აღმოსავლეთის მხარეს ფართოთ მოფენილი მდინარე დონი ჩაუვლის. მდ. დონზედ როსტოვი კარგა ხანია სავაჭრო ქალაქად ცნობილია.

აქედან ტაგანროგში ჩავიარე და იქაც ის ჩრდილი ედგა ქალაქს რაც როსტოვსა. ეს ქალაქი აზოვის ზღვის პირასა დგას და თავის კვალად ესეც კარგი მაზანდიანი სავაჭრო ქალაქია, მაგრამ ეხლა-კი, როგორც მოგახსენეთ, აქაც შემდგარა აღებ-მიცემობა.

მეველ ხარკოვში. ქალაქი ვაკე, გონაკანარი და ტყიანია. ხარკოვი, რუსეთის იმპერიაში მეხუთე ქალაქად ითვლება შენობების მიხედულობითა, უნივერსიტეტით, იარმუკობით და სხვ.... სახლის ქირა და სასმელ-საჭმელი ძალიან ძვირი გახლავსთ. შემაც ამ სახითვე ასე, რომ ოთხ-კუთხიანი საქენი შემა ოც-დახუთიდან სამ-თუმან ნახევრამდისინ ღირს, ამის გამო ნახევარი ქალაქის მცხოვრებნი ქვის ნახმირსა სწვამენ.

ამ ხნის განმავლობაში ტურსკშიაც ვესტუმრე ერთს იქაურს ჩემს ნაცნობს რუსის მებატონეს. ჩემი მისვლა, როგორც შევატყე, ძალიან იამა, მაგრამ მასპინძლობა-კი ჩვენებურათ ვერ „მოგვართვით“. ტახური ღვინის მაგიერათ „თბილის წყლით“ გამჟყიპეს.... ამისათვის აღარც მე დავრჩი მეტი ხანი, რადგანაც ჩვენებური ანდაზაც ამ გვარ მასპინძლობაზედ ძალიან გონიერულათ მოგვითხრობს, რომ „ღილით ოქრო ხარ სტუმარო, საღამოს ვერცხლათ იქცევი და თუ მეორე დღეს დარჩი სპილენძათ გარდაიქცევი!“ ტურსკში გამოჩენილი შენობები და მაღაზიები ჯერ არ არსებობს და მხოლოთ ამ ცოტას ხნის დასაწყისიდამ ებრაელებს მიუყვიათ ხელი შენობებისათვის და რასაკვირველია ტურსკელები უნდა ელოდნენ ქალაქის გამშვენიერებას და ჯიბეების დაცარიელებასაც.

საზოგადოთ რუსეთის მებატონეების ცხოვრებას და ამათს მდგომარეობას შემდეგ მოცლილს დროს მოგახსენებთ, და ეხლა-კი, ყოველ შემთხვევისთვის, მხოლოდ ამით დაკმაყოფილდით, რომ „რაც უნახავთ ველარ ნახავენ?...“

დაებრუნდი ისევე ხარკოვში. იმ ხანში მთავრობის განკარგულებით იყო გარდაწყვეტილი, რომ რუსეთის თვითეულ გუბერნიას რამდენიმე ცხენი უეჭველათ უნდა წარმოედგინათ მარქაფათ სამპეტრო საჭიროებისათვის,

თი სკვიტის გენერალ-მაიორი თ. ი. ზ. ჩოლოუაშვილი.

ახალქალაქი, 5 მაისს. 4 მაისს. იერიშად აიღეს გელავერდის მაღლობზედ არდაგანის წინა ორი სიმაგრეები, რომლებთ შორის ელორ-ოგლის მაღლობს ძიელ დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ამ იერიშის დროს ჩვენის მხრით მოკლეს 14 სალდათი, დასჭრეს: ელიზავეტოპოლის ჰოლკის მაიორი თავ. მაუაშვილი, 3 ობერ-ოფიცერი და 14 სალდათი. როგორც ომის ველზე დაგდებული მკვდრებისაგან ჩანს მტერს ძრიელ დიდი ზარალი უნდა მისცემოდა.

ს.-პეტერბურღი, 5 მაისს. სტამბოლიდამ და ვენიდამ მოსული ტელეგრამმები გვარწმუნებენ, რომ რუსის ჯარი ბოლბამთან ბრაილოვის სიახლოვეს გადასულან დუნაიზე, და რომ დობრუდჟაში, ჰლეშტის სიახლოეს ამჟამად ჩხუბიაო.

ვენა, 5 მაისს. ამბობენ, რომ სერბიის მთავარი, თავ. მილანი ნამდვილად ჰფიქრობს ტასტის თავის დანებებასაო.

ომის ამბავი

ოზურგეთი. 3 მაისს. („დროების კორრესპონდენციის“) მდინარე კინტრიში ჩამოდის ჭობულეთის აქეთ, სამხრეთის მხრით. ამაზედ მოდებული აღმოსავლეთიდ არის სოფლები ხუც-უბანი და ალამბარი. საშუალ ამ ორი სოფლისა იყო დაბანაკებული ოსმალოს ჯარი.

ეს ადგილი ძიელ მაგარია ბუნებით, თავათ მაღალი ადგილია და ირგელივ ძიელ ცუდი მისავალი გზები აქვს.

აპრილის 29-ს, დილით ადრე, ალიონზედ, მიადგნენ ამ სიმაგრეს რიონის ატრიადის ჯარები, ატრიადის სარდალით გენ. აგლობჟიოთ. ერთის გორიდგან დაუწყეს ზარბაზნებიდამ და თოფებიდამ ცემა. საშინელი სროლა შეიქნა.

თოფების ქვეშ მყოფნი მიდიოდნენ ლაგირში მისახტომათ, მაგრამ თათრების მხრითაც ისეთი სროლა იყო, რომ იერიშით მისვლა არ შეიძლებოდა. ამ დროს დაიბარეს გურულების მეოთხე სოტნა, იასე ზურიელის დროუჟინიდამ.

ამათი მოსვლის შემდეგ გამხნევდა ჩვენი ჯარი და განაახლეს საშინელი სროლა. ბოლოს, რომ სროლითა არაფერი გამოდგა, მარცხენა ფლანგის ჯარის სარდალი, გენ. მაიორი დინიბეკოვი გარდახტა ცხენიდამ, გაერია ქვეითი რუსის და გურულების ჯარს ხმალ ამოღებული და გაუძღვა წინ ამ სიტყვებით: „აბა, ყმაწვილებო! სირცხვილია რომ ამდენი ხანი გავიძლეს თათრებმა! ან შევაკლათ თავი, ან ბანაკი დავატოვებიოთ! ურა! ყმაწვილებო?“ იმასთან ერთადჯარმაც დასძახა „ურა!“ და ზოგი თოფით და ზოგი ხმლით მივიდნენ მტერზე. ის იყო და ის! მეტი აღარ დაგეჭირებია-რა თათრების საშინელი უკუქცევის კვილი და ყვირილი ჩვენს ჯარს ამხნევებდა და მათსას კი ზარს სცემდა. აეე ავიღეთ ის საშინელი შეუვალი სიმაგრე.

მაისის პირველს გენ. აკლობჟიო მობრძანდა ამ ეხლა ხანათ აღებული სიმაგრის დასახედავათ. სხვათა შორის მეც ვიყავი მაშინ აქ.—საშინელი სანახაობას წარმოადგენდა მთელი ადგილი, ჩვენგან ნასროლი ზარბაზნებისაგან დანგრეული და აოხრებული. რასაც მოხვედრია ის დალეცვილი—ხეს, ქვას, ბინას თუ სახლს ყველაფერი ის დაუწიოკებია, თითქოს იქ არა ყოფილიყოს-რა მის დღეშიო.—დამკვეთილი სისხლი კიდევ ბევრს ალაგას იდო....

აქედამ ერთს იქ ახლო უმაღლესს მთაზე ავედით. ბინტრიშის მდინარე ამ მაღლობს დასავლეთით ჩაუდის. ამ ადგილიდამ ციხის-ძირის აქეთა მხარე ჩანდა, სადაც ჩვენ ოსმალოს ჯარების კარვები (ბანაკი) და არტილერია დავინახეთ. იმას იქეთ მცხოვრებნი აღარ დარჩენილა, მხოლოდ მთის ძირს კი არიან რამდენიმე ოჯახობა დახიზნული. იქ ახლო-მახლო ჩვენმა ჯარმა ისე მოვლო, რომ ერთათ ერთი ფეხის დადგმა ადგილიც არ დაუტოვებიათ.

მაღალს მთაზე რომ ავედით, იქ ვნახეთ, რომ ჭობულეთელი ქართველების ძველად გაკეთებული ეკკლესია ყოფილა..

ამ ადგილას 12, საათზე, გამარჯვების მოვლენა გარდვიხადეთ, რომლის შემდეგაც იქ მყოფ ჯარებს მათის მხნეობისათვის მადლობის ტელეგრამმა წაუკითხეს დიდი მთავარი ნამესტნიკისაგან წარმოგზავნილი. იქვე ამ ტელეგრამმასთან დიდი მთავარ კნეინასაგან მოსული ტელეგრამმაც წაიკითხეს, რომელშიაც მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დაჭრილებს დიდს ნუგეშს და მალე მორჩენის სურვილა უცხადებდა.—ამ მოვლენის შემდეგ თუთხმეტიოდე მარჯვეთ მეომრებს წმ. გიორგის ჯვარი დაურიგეს.

ზურული

ნემენცურს გაზ. „პოლიტიკური კორრესპონდენციაში“ რუშჩუკიდამ 2 მაისს, იწერებიან, რომ ოსმალოს ჯარები მარცხენა ფლანგიდამ თანდა-თან გადმოჰყავთ დობრულჟაშიო, და რომ დუნაის არმიის გენერალური შტაბის უფროს ახმედ-ეიუბ-ფაშა თავათ ანაწილებს, სტრატეგიულის მოსაზრებით, ამ ჯარებს დობრუდჟაში იქ ახლო-მახლო ადგილებში.—ეს თუმც ასეა, მაგრამ დუნაის არმიის სარდალი აბდულ-ქერიმ-ფაშა წინააღმდეგიაო, რომ თავის არმიის ძალა ამ ნაირად დაანაწილოს და იმის რამდენიმე ნაწილი დობრუდჟაში გადმოიყვანონ,—რადგან, იმის ჰაზრით, რუსეთის ჯარები დუნაიზე ბრაილოვთან და ბალაცთან როდი გადმოვაო, არამედ ჭურჭევასთანაო. აი, ამ განზრახვით მოახდინა ფიცხელი განკაარგულება აბდულ-ქერიმ ფაშამ, რომ დუნაის არმია ისევ შეავსონ ადრიანოპოლიდამ მოწვეული სათადარიგო ჯარებით.—მაინცადა-მაინც არ ჰსჩქარობს თურმე, ზემო მოყვანილი გაზეთის სიტყვით, აბდულ-ქერიმი, რადგან დარწმუნებულია, რომ რუსეთის ჯარები დუნაიზე გადმოსვლას 20-ს მაისზე ადრე ვერ მოახერხებენო.

—

ნემენც. „ნაციონალურს ბაზეთში“ იწერებიან, რომ 4-ს მაისს ოსმალოს სამი მონიტორი, სამი საათის განმავლობაში გაუწყნარებლივ უშენდნენ ყუმბარებს რუმინიის ქალ. რენს; სამოცამდე ყუმბარა ჩავარდნილა ამ ქილაქში. 5-ს მაისს, აგრეთვე სამი საათის განმავლობაში, კიდევ სამი ზარბაზნიდამ ყუმბარებს უშენდნენ ქალ. ოლტენიცს, დაუხედავათ იმისა, რომ ამ ქალაქში სრულებით რუსის ბატარეია არ იყო. მონიტერების უფროსმა მოითხოვა, რომ ოლტენცში მყოფი რუმინიის ჯარები გამოსულიყვნენ ქალაქიდგან და როდესაც ჯარები მართლა გავიდნენ, მაშინ წყალში ტარეددები ჩააგდეს. რუმინიის მცხოვრებნი ერთობ უკმაყოფილო და აღელვებულნი არიან, რომ ოსმალომ სრულიად უპატრონოს და დაუცველს ქალ. სლიტენიცს დაუშინა ყუმბარები.

—

ნემენცურ „საზოგადო გაზეთში“ იწერებიან იასსიდამ, რომ მდინარე პრუტ'ს, სერეტს და დუნაის საშინლათ მოუმატნიათ და გამოსულან თავიანთ კალაპოტიდამაო. ასე, რომ იმათი ნაპირა ზოგიერთ ადგილებზე გავლა ძრიელ უჭირთ რუსების ჯარებსაო.

საქართველო

უფ. ზისსერმანს

„მოსკოვის 'უწყებები“ ჩვეულებრივათ არ აკლებს ჩვენს სამშობლოს თავის ყურადღებას.

ბანსაკუთრებით ეხლა, როდესაც ომის ველად ძავკაზიის სამზღვრები ითვლება და, ამის გამო, მთელი ევროპის ყურადღებაც მასზეა მოქცეული, „მოსკოვის უწყებებს“ და მისს, ერთს დროს ჩვენში ნამსახურს, თანამშრომელს უ. ზისსერმანს, უბრალო რასმეზედაც მომხდარი უყმაყოფილება აქაურსა და რუსს შუა მთელი ძავკაზიის არეულობათ მიაჩნია და ეჩვენება. მარტოთ-მარტო თავიანთი შინაგანი საქმეების გამო მომხთარი არეულობა, რომელიმე მთიულს ხალხი, მას ოსმალოს განვლენით მომხთარი გონა და, გაძმაგებული ამით, ჰბეჭდავს თავის ზემო მოხსენებული თანამშრომელის იმისანა სტატიას, როგორც მაგ. 30 აპრილის ნომერშია: „ძავკაზიაში არეულობაების (?) გამო.“

უფ. ზისსერმანი არ გვეუბნება საიდამ, რომელი მხრიდამ მისვლია მას ტელეგრამმა, რომლითაც ის: ზემო მოყვანილს სტატიას იწყებს- „დღევანდელს ტელეგრამმებში, ამს ბობს ის, ჩვენ ვკითხულობთ: ომია გამოცხადებამ მისცათ შემთხვევა ზოგიერთს ფანატიკებს ჩეჩნებში არეულობა მოიხთინათ. შეიტყო თუ არ, თერგის მაზრის უფროსმა, რომ იჩკერინის და აუხოვის ტყეებში ჩეჩნებს აჯანყებულთ ურდო შეუდგენიათ, რომლების რიცხვი ჯერ ორასი ყოფილა და შემდეგ 500 კაცამდინაც გამხთარა, საჭიროთ დაუნახავს ენერგიული ზომები მიეღო, იმათ

რომლის სანუფქოთაც მთავრობისაგან გარდაწყეტილობით და კამისიის დაფასებით, ცხენის პატრონს უნდა მისცემოდა არა მომეტებულ ხუთის თუმნიდამ-თხუტმეტამდის; და რადგანაც მოთხოვნილი კომპლეტი მცხოვრებლებმა თავიანთ ნებით არ გამოიყვანეს ამისათვის კამისიამ დაარჩია მეპატრონეებში შიგა-და-შიგ საუკეთესო ცხენები რომელთაგანნიც ოციდამ-ას თუმნამდისინა ღირდნენ და ამ სახით შეასრულეს „მთავრობის ბრძანება!..“

ციმბირიდამ გამოგზავნილი ცხენები ენახე და ძალიან მომეწონა. „რუსეთის“ ზაეოდის ცხენებს „ციმბირელებმა“ გადააჭარბეს.

ზედატანებით გამოცხადდა ომიანობის უმაღლესი მანიფესტი.

შეიქნა ხალხში ჩოჩქოლი და გულის ღელვა!.... აქედამ გავკურცხლე კიშინევისაკენ.

ბავიარე პოლტავა. ქალაქის შეონობა მდიდარი არარის; ბუნებით-კი შიგნით რუსეთსა სჯობია. წინათ ცოტახელმოკლეთა ყოფილან და რაკი იარმუკობა გამართულა ამ ქალაქში წელიწადში ორჯელ,—ამის შემდეგ ცოტა არა, რომ მოუთქვამს სული და თანდათანაც მშვენიერდება.

ბრემენჩუგის წყლით წარღვნა ერთი კვირის წინათა მქონდა შატყობილი და როდესაც ჩამოვიარე ჩემის თვალითაც ვიხილე, რომ მართლათაც საცოდავს მდგომარეობაში იყვნენ. ქალაქი სულ მთლათ წყლით იყო სავსე. ქუჩებში ნაეებით გადიოდ—გამოდიოდნენ. ზოგნი მცხოვრებნი სხვენში გადარჩნენ თურმე. ზარალი უანგარიშოა. ზოგი სახლები სრულებით გადულეკია წყალს. აქაურ ღარიბ მცხოვრებლებთათვის გარეშე მახლობელ სოფლებიდამ და ქალაქებიდამ გამომცხვარი პური და სხვა შესატანებელი მოჰქონდათ.

ქალაქის მცხოვრებნი მომეტებული ნაწილი ებრაელები არიან და კარგი მაგაზიებიცა ჰქონიათ, მაგრამ სულ ამაოთ ჩაუარა წარსულმა მომჭირნეობამ და სიმდიდრის შეძენამ. მდ. დნეპრი, რომელმაც ესენი წარღვნა, ისტორიული მდინარეა რუსეთში, ისე როგორც პატარა აზიაში მდინარე იორდანე.

ბიშინევში გადმოვხტი თუ არა ვაგონიდამ, ვაგზალთან ახლოსვე ვნახე ქვეითი ჯარი მეექვსე ბატალიონი ბულგარიის დრუჟინისა, რომელნიც ემზადებოდნენ სამძღვარ გარეთ—ბუხარესტში წასვლასა. ბავერიე მათ შორის და დაუწყე ცქერა. ბაჰქონდათ ერთმანეთში ბღლაძუნი და ლაჟღანდარობა. ერთმა იმათგანმა ამოიღო უბიდამ მწყემსური უენო სალამური და როგორც ეტყობოდა ძალიან გრძნობით უბერავდა. ამასობაში სხვებმაც ერთიერთმანეთს წამოჰკრეს ხელი და დაიბეს როგორც მოგაგონდებათ ჩვენებური ჩართული ფერხისა. შიგ ფერხის წრეს შუა თეთრ წვერიან ბულგარს გაჰქონდა მხიარულათ კისკისი დაჟინებულის ბუქნით. ამასთანავე, ცოტათკი არა და თითქმის სიმღერის კილოც ჩვენებურს ძალიან წაგავდა.

ერთს საათამდის ამ ყოფით იყვნენ. ბოლოს მეუფროსის ბრძანებით დააყუყუნეს საყვირი, შეექუჩდნენ ერთათ, დაიწყეს რაზმი ორ მწკრივათ და გასწიეს ვაგზალისკენ გასამგზავრებლათ.

დაწვრილებით აქაურს მდგომარეობას და ცხოვრებას შემდეგ აგიწერთ.—

ბ. ბრემელი

აპრილის 28 1877 წელსა

ქ. ბიშინევი

გასაფანტავათ. 22 აპრილს ერსენასთან შეკრებილს ატრიადს, პოლკოვნიკის ნურილის უფროსობის ქვეშ. ჰქონია შეტაკება აჯანყებულებთან სოფ. მაურტუბთან, რომლის შემდეგაც ისინი გაფანტულან და ბრძოლის ველზე დაუტოვებიათ 99 მკვდარი და 250 დაჭრილი. ჩვენის მხრით მოუკლავთ 3 კაცი და 11 დაუჭრიათ. მთელი ის მაზრა სამხედრო მდგომარეობის მქონ მხარეთ არის „გამოცხადებული.“

ამ ტელეგრამმის მოყვანის შემდეგ უ. ზისსერმანი მოგვითხრობს, რომ როდესაც მან, ამ ათი თვის წინეთ, „მოსკოვის უწყებებში“ გამოსთქვა ის ჰაზრი, რომ მომავალი ომის დროს „კავკაზიის მთიულებზე დიდი ყურადღება უნდა იყოს მიქცეული, რადგან ოსმალოს ფანატიკებს იმათ შორის არეულობის მოხდენა შეუძლიანთ, მაშინ ის ადგილობრივი გაზეთებმა სასაცილოთ აიღეს და წინააღმდეგობა გაუწიეს, რომ არაფერი რამ ამისთანა კავკაზიის მთიულებში მოსალოდნელი არ არის, არც ომის და არც მშვიდობიანობის დროს. „მაშინ როდესაც, ამბობს უ. ზისსერმანი, სწორეთ იმ დროს, როდესაც „მოსკოვის უწყებებს“ ასე ერთხმათ ეწინააღმდეგებოდნენ ადგილობრივი გაზეთები, სვანეთში არეულობა იყო, თუმც ფანატიკების წყალობით კი არა. ეს სვანეთის არეულობა გათავდა იმით, რომ იმათი მოთავენი რამდენიმე კაცი დახვრიტეს (?) და რამდენიმეც ციმბირში გაგზავნე“. „ამის შემდეგ, განაგრძობს უფ. ზისსერმანი, ჩემგან გამოთქმულს გაფრთხილებაში რამდენიმე შემთხვევა თან და-თან მარწმუნებდა: მაგ. ზაქათალის მაზრის მცხოვრებთ, ლეკებმა, განზრახეს ვითომც თავიანთ შორის მილიციის მოკრეფის თაობაზე წინააღმდეგობა, მაგრამ საჩქაროთ გაგზავნილმა ორმა ბატალიონმა ზრბაზნებით არეულობა დაამშვიდა და ადმინისტრატიულის დასჯით, ე. ი. მოთავეების მაზრიდამ გაგზავნით, სრულიათ მოსპო არეულობა. ბარდა ამისა დაღესტნის აულის, ბუბდენის მცხოვრებმაც დაიწყეს ლაპარაკი, ქრისტიანების (გიაურების) განდევნაზე (?), მაგრამ იქაური მმართებლობის განკარგულებით და ორიოდე როტის შემწეობით ესენიც დაამშვიდეს და აქაც არეულობა სრულიათ იმით მოისპო, რომ იმის მოთავეთაგანს, რამდენიმე კაცს ციმბირისკენვე გაუსაჭეს.“

უ. ზისსერმანს დავიწყებია, რომ შარშან სამეგრელოშიაც იყო არეულობა, თორემ იმის მიზეზსაც უთუოთ ოსმალოსფანატიკებს მიაწერდა.“

თავის სტატიის დასასრულს უფ. ზისსერმანი, როგორც ჩვენი კარგათ მცნობი და ჩვენს მხარეში მყოფი, ურჩევს კავკაზიელ მუსულმანთ შორის იმისთანა პირებს, რომელთაც კარგათ იციან, თუ რა სარგებლობა სსურს მათთვის ჩვენს მართებლობას, თუ რა სიკეთეს გვიშვრება იგი ჩვენ საზოგადოთ, რომ მიაქციონ ყურადღება თავიანთ მოძმე მთიულებს და გაავრცელონ მათში მართებლობის პატივისცემა და შიში.— ამ სიტყვებს უფ. ზისსერმანი იმისთანა ყმაწვილებს მიჰმართავს, რომელთაც გამოუცდიათ და უცვნიათ ჩვენი მართებლობა და რომელთაც, „ბევრი თუ არა, ცოტა რამ მაინც უსწავლიათ“,—

ამ ყმაწვილების მაგიერ პასუხს ჩვენ ვაგებთ „მოსკოვის უწყებების“ ძვირფას თანამშრომელს: გმადლობთ უფ. ზისსერმანო, თქვენი დარიგებისათვის და, ამასთან, აგრეთვე ემადლობთ უფალს, რომ კავკაზიელ მუსულმანთ დასაზოგადოთ ჩვენ ჩვენი მართებლობა თქვენის და „მოსკოვის უწყებების“ დედა ბურჯის, მ. ნ. კატკოვის თვალით არ გვიყურებს....

ДЛИУРИ

*** ახალქალაქიდამ, 6-ს მაისს დილით ადრე მოსულმა ტელეგრამმამ არდაგანის აღებაზე, მთელი ქალაქი ფეხზე დააყენა. 7-ს საათზე შეიქნა ზარბაზნების სროლა. ხალხი ეგერ-ეგერ ჯგუფ-ჯგუფათ იდგა და აღტაცებით ლაპარაკობდა ამ შესანიშნავი სიმაგრის, არდაგანის აღებაზე. ყველა აღტაცებით მოელის იმ ფაშას, რომელიც იქ დაუტყვევებიათ.... 10 საათზე მოლევნაც გარდიხადეს.

„დროების“ კორრესპონდენცია

თელავი, 20 აპრილს. ზოგი ერთი უწესო მოქმედება ჭირსავით გადასადები სენი ყოფილა! აქამდის სულ ერის კაცების ცუდს ყოფა-ქცევას ვკითხულობდით გაზეთებში და ახლა—ეს ბოროტება გარდაიფინა სამღვდელო პირებზედაც.

ქართველი ღვდლები ერის კაცებსა სწეწავენ და სომხის ღვდლები კი —ერთმანერთს: მიზეზი შეიძლება ბევრ გვარი იყოს. მანამ ნამდვილი მიზეზი გამოჩნდება, ჯერ შეიძლება ეს ვაკმაროთ მკითხველს, რომ თელავში სომეხი სარწმუნოების მღვდლები, რიცხვით რვანი არიან, განყოფილნი ორ სამტერო პარტიათ: ერთის მხრით მოქმედებენ ორნი და მეორის მხრით—ექვსნი.

არ არის დიდი ხანი, რაც მათ შორის ეს არეულობა დაიწყო და თუმცა ნამდვილი მიზეზი ჯერაც ვერ შეიტყვია, მაგრამ როგორც გვიჩვენებს მათი მიხრა-მოხრა, შეიძლება დამტკიცებით ვსთქვათ, რომ ურთიერთი ამათი წინააღმდეგობა დაწყობილა და მომდინარეობს „ენატანობით“.

თითქმის ყოველს მღვდელს ჰყავს დანიშნული, თავისის მხრით, ერთი მაინც თავის ნათესავთაგანი, რომლის მოვალეობა მდგომარეობს იმაში, რომ თვალ-ყური ადევნოს წინააღმდეგს მხარეს—თუ რას ლაპარაკობენ შესახებ მისა. ეს „ენატანია“ საღამოზედ გიახლეპათ თავის გამგზავნთან და აძლევს ანგარიშს. ტყუილს ეტყვის თუ მართალს სულ ერთია—ის ყველაფერს მიიღებს სახეში და შთაჰბეჭდავს თავის ანთებულს გულში. ერთს საათში ისე აღშფოთდება, რომ იტყვის ნეტავი ეხლა № ჩამიგდო ხელში, რომ კალიასავით გავგლიჯოვო, მაგრამ რადგანაც ამ სიტყვებს ისე უცებ აღსრულებაში ვერ მოიყვანს,—უნებლიეთ დაიმშვიდებს გულს და დარდიან გულს გაიგრილებს კახურით და მითივე შეაქეიფიანებს თავის სტუმარსაც, რომელსაც ვახშამზედვე აძლევს დარიგებას—თუ როგორ უნდა მოიქცეს მეორეს დღეს, იმავე დანიშნულების აღსასრულებელად.

ესრეთ ორშაბათიდგან დაწყებული შაბათს საღამოდის ყოველი მღვდელი ინერგავს გულში მოსმენილს ამბებს; კვირას შეასრულებენ წირვას (მომეტებული ნაწილი ღვდლებისა ერთს ეკკლესიაში, სადაც წირვის დროსვე უკმაყოფილოს თვალით უბღვერიან ერთმანეთს) და შემდგომ დაიწყება მათი ვალხებითი საყვედური და სამდურავი! შენ ესა და ეს გითქვამს ჩემზედა, შენ ესა და ესაო.

რომ მართალი ვსთქვა ამ რვა ტერტერებში განსაკუთრებით შესანიშნავი არის თავის მოუსვენარის და გაფუჭებულის ხასიათებით მხოლოდ ერთი; დანაშთენებს, ცოტათ თუ ბევრათ, მაინც რიგიანათა აქვსთ დაცული თავისი ხარისხი, მაგრამ ესენიც, როგორც ხორცთა-შინა მყოფნი, შეშფოთდებიან ხოლმე „ენატანიების“ ნაამბობით და ამასობაში გამოდის სიძულვილი. მათგანი ერთი არის ბლაღოჩინი, რომელსაც ვიცნობ ძალიან სინიდისიანათ და მშვიდობის მოყვარულს კაცად, მაგრამ როგორც ეხლა ლაპარაკობენ თელავში ამასაც ერთს ნაკლულევანებას სწამობენ: თურმე როდესაც ამ ბლაღოჩინს შეემთხვევა წასვლა სხვაგან, რამდენიმე დღით, მაშინ თავის თანამდებობის აღსრულებას ანდობს ერთს თელაველს ერის კაცს.

ამ უკანასკნელს მიენიჭება ბლაღოჩინის მოსვლამდის სრული უფლება მღვდლებზედ, და ვერც ერთი მათგანი მის დაუკითხავათ ვერ აღასრულებს ვერა რაიმე სამღვდელო წესსა. მაგალითებრ, აი რა მოხდა: ერთი კვირის წინ, როდესაც ბლაღოჩინი იმყოფებოდა თვილისში და მის თანამდებობას აღასრულებდა ბ. ს. თელავში გარდაიცვალა ერთი ღარიბი კაცი, რომელსაც არა რაიმე ღონისძიება არ ჰქონდა და აცხოვრებდა თავის ცოლშვილს დღიერის მუშაობით.

მეტი გზა არ იყო იმისმა ნათესავებმა, როგორც იყო, ერთი თუმანი ფული შეკრიბეს: ამ ფულიდგან მოახმარეს კუბოს ოთხი მანეთი, ხუთი მანეთიდგან ზოგი საფლავის გამჭრელს მუშებს მისცეს, თავისი სამუშაო და ზოგიც მოახმარეს მცირედის აღაპის გარდასახდელათ. დანაშთენი ერთი მანეთი დანიშნეს „სურფ-სილანის“ შესასრულებლად. ასე იფიქრეთ აღარ დარჩა ფული, რომ მიეცათ იმ მღვდლისათვის, რომელიც განსვენებულს დაასაფლავებდა; კიდევ კარგი, ამ მღვდელმა ალუთქვა დასაფლავება უსასყიდლოთ.

„სურფ-სილანის“ ფული ყოველთვის მიიქცევა განსაკუთრებითს კრუჟკაში და ვგონებ იგზავნება ეჩმიაძინის მონასტერში და, ამის გამო, ის ერთი მანეთი პირ-და-პირ ბლაღოჩინთან უნდა წარედგინათ ჭირისუფლებს და კიდეც წარადგინეს მის ნაცვლად დანიშნულს პირთან და სთხოვეს ნება მიცვალებულის დასაფლავებაზედ, მაგრამ უფალმა ს. არ მიიღო ფული და გამოუცხადა, რომ უეჭველათ სამი მანეთი უნდა წარმოადგინოთ, თორემ მღვდელს არ მივსცემ დასაფლავების ნებასაო.

შეწუხდეს თქვენი მტერი, რომ შეწუხდნენ ჭირის უფლები მაგრამ რას იქმოდნენ. როდის, როდის გამოჩდნენიმისთანა პირები—რომ, მოთხოვილის ფულის შესავსებლად, ჩამოიარეს ბაზარზედ და როგორც იყო ექვსი აბაზი მოკრიფეს, მაგრამ ს. მაიც უარი გამოაცხადა და აშოვნინა დანაკლისი ოთხი აბაზიც, აქა იქა თითო კაპეიკის მოკრეფით. ეხლა მძლავსღა მიეცა მღვდელს ნება, სამის დღის სუნი დაცმული მკვდრის დამარხვისა.—

დასაჯერებელია რომ ეჩმიაძინის კრუჟკა უეჭველათ სამ მანეთს სთხოვდეს ყოველს მიცვალებულსა? მერმე იმისთანას, როგორც დღეს ეხედავთ უბედურს რ ი., რომელსაც დარჩა ქვრივი და ერთი გასათხოვარიქალი და დღეის შემდგომმათხოვრობით უნდა დიიცვან თავისი სიცოცხლე.—

აგერ მოგვივიდა ნამდვილი ბლაღოჩინიც, და რა შერტყეს საქმეს გარემოება, მაშინვე—დაუბრუნა ღარიბს ჭირის უფლებს უწესოთ გამორთმეული ფული და მით დაამტკიცა თავისი კეთილ სინდისიანობა. აქ კითხვა იმაზედ არის—თუ რომლის წესდებულებით მიენიჭა უფ ს. უფლება მღვდლებზედ და მკვდრებზედ? თუ იცის ვინმემ ეს წესები, გთხოვთ გვაცნობოთ.....

თელაველი

უცხო ქვეყნები

გერმანია

ბერლინის დიპლომატიურ წრეებში, როგორც Pester Lloyd'-ის კორეს'პონდენტი ამბობს, სრული ყურადღება ეხლა მიქცეულია ავსტრო-ვენგრიასთან და რუ ეთთან რუმინიის განწყობილებაზე. გერმანია პლატონიურათ შესცქერის რუმინიის სათათრეთის ქვეშევრდომობიდამ სრულიად განთავისუფლებას; თუმცა კი რუმინიის მთავარი ნათესავი გახლავს პრუსიის კოროლის, ე. ი. ორიენი ერთი გვარიდგან არიან, მაგრამ, საეჭვოა, რომ პრუსიამ რამე შემწეობა მისცეს რუმინიას სრული თავისუფლების შეძენაში; არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ თავადი კარლი ნაპოლეონ III რჩევით არის რუმინიის ტახტზე აყვანილი, პრუსიის კოროლის აზრის წინააღმდეგ. ბერლინში ძალიან კარგათ გრძნობენ, რომ ავსტრო-ვენგრიისთვის უფრო სასარგებლო და სამნიშვნელოა გემების და ნავების თავისუფლათ ტარება დუნაიაზე ვინემ იმისთანა პროვინციის შეერთება თავის მონარხისთან, რომლის კულტურული (განათლება) ნიჭი ჯერ კიდევ დიდ ეჭვშია. არა და, თუ რუმინია სრულიად განთავისუფლდა თათრების მორჩილებიდამ, გახდა საკოროლოთ და მასთან კიდე დობრუჯაც მიიერთა, მაშინ ისე თავისუფლათ ვერ ისეირნებს დუნაიაზე ავსტრო-ვენგრიის ხომალდები. ბოგენლოლერნის სახლობა დუნაიაზე ძალიან კარგათ უნდა ხედავდეს, რომ ბოგენლოლერნი შპრეზე არას შემთხვევაში მას შემწეობას არ მისცემს, თუკი საქმე იმაზე იქმნა მივარდნილი, რომ ავსტრო-ვენგრიას სავალი გზა დუნაიაზე უნდა ამოეკეეთოს.

ინგლისი

— ინგლისის პალატაში, ამ უკანასკნელის წევრმა ქორტნემ წარმოსთქვა ჰაზრი, რომელშიაც სამწუხაროთ რაცხს, რომ ბლადსტონის რეზოლიუციას სისრულე არ მისცენ. მმართებლობა—ამბობს ქორტნე—უკეთესი იქნებოდა ცდილიყო სათათრეთი დაერღვია, ვინემ კიდე ღონის-ძიება რამ მოიგვაროს, რომ დაიცვას მისი შეუხებლობა და ერთობა. ინგლისმა რომ ამ ვვარი წინადადება მისცეს ბერმანიას და რუსეთს და დათანხმდნენ ერთმანერთთან ამ კითხვის გარდაწყვეტაზე, მაშინ ომი აღარ მოხდებოდა. ბოსნიისთვის და ჰერცოგოვინისთვი ადგილობრივი ავტონომიის მიცემა ისე ძნელი არ იქნებოდა, როგორც საბერძნეთისა და რუმინიისთვის.

დიდ გაცხარებულ ბაასის შემდეგ ქორტნემ პირ-და-პირ წარმოსთქვა, რომ სათათრეთის განაწილება და დარღვევა ამ ჟამად მიუცილებელი კითხვაა.

წერილები

ბატონო რედაქტორო! აი დეკემართოს კარგი გაზაფხული ჩვენ დაგვიდგა. ამინდმა თუ ასე შეგვიწყო ხელი, სწორედ გასქდება მოსავალი. ასე გაშინჯე შენი ჭირიმე' რომა მუდამ დამშეული ქიზიყსაც ისე გასთამამებია გული ამ მოსავლის პირს უყურებს რომა, ამ ომიანობის დროსაც კი, ორ-სამ-მანეთად ჰყიდის თურმე კოდ პურსაო. ვინ ქიზიყი, ვინ პურის იაფობა და მერე ამ დროსა? აი ამ იმედს გვაძლევს მოსავლის პირი, შენი ჭირიმე!

მაგრამ ნეტა იცოდე ვის უფრო უხარიან ესა? ჩვენა, თუ სხვა?.— სხვასა შენი ჭირიმე, სხვასა—ჩვენ ვაჭრებსა და ვალის პატრონებსა. აბა იმათ დაუდგებათ აღდგომა აი. იმათ უხარიანთ რომ უფრო ბევრ ნისიასა და ვალს აინაღდებენ,—მერე რა ვალსა?— მანეთი რომ ხუთ თუმნათ გაუზდიათ იმ ვალსა! მიანაღდებენ და ხელ-ახლად, სამაისოდ, ისევ იმ ანგარიშს დაიჭერენ ჩვენთანხუთი რომ ორმოც და ათად ექცევათ ხოლმე. აბა ამისთანა ანგარიშს რა მოსავალი გაუძლებს? ამიტომაც, შენი ჭირიმე, ჩვენთვის ყველა ფერი ფუჭია: როგორც მოუსავლობაში არაფერი სარგო გვაქს ვაი- ვაგლახათ სარჩენის მეტი, ისე მოსავლის დროს არის ხოლმე. რათაო — და იმათა, რომ ცოტას დროს რომ ცოტას გვართმევენ ჩვენი მოვალეები, ბევრის დროს ბევრი მიაქვთ და ჩვენ ისევ ცოტა გვრჩება.

ეა მოგება კი გვაქს, რომ იქნება ჩვენმა მღვდელმა ის ერთად ერთი დანჯღეული ქვაბი აღარ წაგვართოს დასარბევში, და იქნება კიდევ ისიც მოვახერხოთ იმათ ცხენებს და იმათ აღარ გავალაპარაკებთ ჩასაცეცხლებელზედ. აი ეს არის ჩვენი მოგება კარგ მოსავალში.

ვალის გადახდაო?—თუ მკითხავ— ეს სულაც არაფერი, შენი ჭირიმე! ვალი მაინც ჩვენი მუდამი ჭირია და მაინც. მოჯადოებულსავითა ვართ, შენი ჭირიმე, რამდენიც უნდა გადავიხადოთ, იმდენი მაინც კიდევ გადასახდელი გვრჩება, და თუნდაც არ დაგვრჩეს, პატარა ხანს უკან მაინც ისევ გაგვიჩნდება და ახალ მოსვლამდის ნელ-ნელა ვიფლებით შიგა. ვსთქვათ, რომ თითო-ოროლას კიდეც მოგვჭარბდა მოსავალი და გასასყიდათ გვინდა, უვზოობით და უბოგიროობით გვიძნელდება ქალაქში ჩამოტანა, რომ პატარა ფასად გაყიდოთ. მაშ სადღა წავალთ? მივადგებით ისევ ჩვენ ვაჭრებს და იმაზედ ნაკლებ აღარ ვეხვეწებით იმათ ჩვენი საქონლის ყიდვას, როგორც ვალის აღების დროს ვეხვეწებით ხოლმე. აბა, ხომ მოგეხსენება, ვისაც სახვეწელი უხდება რამე, ის თავის საქმეს მაგრა ველარ დაიჭირეს და ჩვენც მეტი ღონე არა გვაქვს, გაჭირება გაქცევას გვასწავლის, იმ მოჭარბებულ მოსავალს ან სულ იაფად, თითქმის უფასოდ მივყიდით ხოლმე ჩვენ ვაჭრებს და ან ქინზედ ისევ ჩვენვე დავიყრით და დავისხავთ თავზედ...

ამ ჩვენ მუდამ სიღატაკეს და მუდამ ვალში ჩაფლვას ჩვენი ვაჭრების მოგონილი საწყაოებიც ძალიან ხელ უწყობს. ყველა ვაჭარი თავის საკუთარ საწყაოს ამუშავებს, თუმცა კი გამიგონია, რომა საწყაო და საწონიო ყველგან ერთნაირი უნდა იყოსო. კანონიერი კოდი, ასე გამიგონია, რომა ორი ფუთი და ათი გირვანქა არისო და ფუთი—ორმოცი გირვანქაო, თუ ეს ასეა, მაშ კოდი ოთხმოც - და - ათი გირვანქა უნდა იყოს. ჩვენში კოდის საწყაოდ ჩანახსა ხმარობენ და ერთ კოდად უფრო ხშირად ათ ჩანახს ანგარიშობენ. მაშ ჩანახი ცხრა გირვანქიანი უნდა იყოს (ლიტრა არის). მაგრამ ძაგარი ის არის, შენი ჭირიმე, რომ ასე არ არის. ცხრა გირვანქიანსა და უფრო ნაკლებიანს ჩანახს ჩვენი ვაჭრები მაშინა ხმარობენ, როცა ჩვენ გვიწყვენ რასმე, და როცა ჩვენ უნდა მიუწყათ რამე, მაშინ, ბატონო, სულ სხვაა.

ამისთანა დროსთვის ყველა ვაჭარს სხვა წონა და საწყაო აქვს: მაშინ ზოგი თორმეტ გირვანქასა ხმარობს, ზოგი თხუთმეტიანსა, თვრამეტიანსა და ზოგისაც ოც გირვანქიანსაც გადააჭარბებს ხოლმე. ხელადის აწყვაში ერთი ანგარიში სხვა გამოერევა ხოლმე, შენი ჭირიმე, ხილად (პირ-და-პირ) რომ სწყავდნენ კიდევ ჯანაბას იმათი თავი, ის არის ხათა, რომ საწყაოს თავს მოუდგმნენ ხოლმე, და ამ თავის მოდგმასაც კიდევ თავისი ანგარიში აქვს: ამწყეული თავის მოდგმაში ოსტატურად მოჰხვევს ხოლმე მკლავსა და მაშინ უყურე სად გასჭრის ხოლმე, საწყაოს—მესამედის ტოლა სხვა მისდევს ხოლმე თანა. რაღა ბევრი თავი შეგაწყინო, შენი ჭირიმე, ნამდვილი, კანონიერი კოდის მაგიერად, კოდნახევარი, ორი და სამი კოდი მიაქვსთ ჩვენგან. ღვინოცა და სხვა ყველაფერიც ასეა. მოდი და გაგიხარდეს მოსავალი! რა მოსავალი გაუძლებს ამ უძირო მყლაპავებს.

ამაზედ იმიტომ შეგაწყინე თავი, რომ ეგების ეს ჩვენი დარდი ჩვენ ნაჩალიკებს წააკითხო, იქნება ეშველათ რამე ჩვენთვის. მოგახსენებენ, ჩვენი სიკეთე უნდათო იმათ და, თუ აგრეა, ესეც ჩვენი გაჭირება, მაშ გვიშველონ რამე, საწონ-საწყაოთი ასეთი უსწორ-მასწორობა დიდ ზარალს გვაძლევს, შენი ჭირიმე, ერთი ეს გაგვისწორონ და როგორც რიგია ისე დასდონ; ამასთან თავმოდგმული აწყვაც აღკრძალონ. ესეც საჭიროა, რომ საწონებიც ურახონ ჩვენ მედუნენებაა, თორემ აქაც ბევრი სიყალბეა და იმადგანაც რომ რამე ვიყიდულობთ რაც ვიერგება იმ ს არ გვაძლევენ ხოლმე.

ახლა, შენი ჭირიმე, ნეტა ისიც შეგვატყობინო ჩვენი ხეობის მაღაზიის საქმე როგორ არის? წარდება კი გამოვატანეთ მთავრობასთან წარსადგენად და არ ვიცი წარადგინეს თუ არა? ნეჯა-კი დაჩქარონ საქმე, ასეთი სულ-წასულები ველით, რომ მეტი აღარ იქნება. ასე ვგონია ჩვენი ცხოვრება იმის ხელშიაო. ახლა, შენი ჭირიმე, ბანკთან ეგ საქმე ძალიან ხელს შეგვიწყობს. ჩვენი ვაჭრობა რომ გვექნება, აღარც ვინმე წყვაში მოგვატყუებს, აღარც წონაში, არც ერთი-ორად გამოგვართმევენ ფასსა და ნისიასა და თუ მოსავალი მოგვეჭარბა—იმასაც გაგვიყიდის ჩვენი დუქან-ბაზარი, აქვე იქნება, თუ ქალაქში; ჩვენი საქმე ჩვენ ხელთ იქნება, შენი ჭირიმე, სხვის შემაცქერალი აღარ ვიქნებით და ჩვენთვისაც ეს არის კარგი. ხომ მოგეხსენება ყველამ თავის საქმისა თითონ უკეთ იცის, უკეთ მოუელის...

ივრელი გლეხი ნინია

აპრილის ზ, ჩოზ წელსა

განცხადებანი

ბეჭდვან გამოვიდა და ისყიდება

მეხუთე კარი

„ყარამანიანი“

სოლოლაკზე ს. ბ. მელიქიშვილის სტამბაში; ქუჩის ხიდზედ ფართანოვის საწიგნო მაღაზიაში.

ფასი 40 კაპ.

კავკასიის საბებიო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე, ფასი დღეში—50 კაპ. დანებები უფასოთ მიიღებიან.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავათმყოფი ქალებისა და უმაწვილების.

ქალის ავათყოფობისათვის:

ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11 მდინ—დოქტორი ანანოვი.

ოთხშაბათობითა და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდინ—დოქტორი რემერტი.

სამშაბათობსთ და შაბათობით 11-დამ 12-მდინ—დოქტორი ალბანუსი.

საუმაწვილო ავათმყოფობისთვის.

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ და კვირაობით 10-დამ 11-მდი—დოქტორი უშაკოვი.

შაბათობით 12 საათზე რჩევა დოქტორებისა: რემერტის, ალბანუსის და ანანოვის

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც ქალებო ავათმყოფობას არჩენენ. ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავათმყოფთა უნდა აძლიონ დღეში —50 კაპ. ცალკე ოთახებში კი დღეში— 1 მანეთი.

LA VELOUTINE

(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის კუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

ერთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

კანს ეკერება და არა სჩანს.

შ. ფაი—გამოგზავნი

pommade satin

(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ეს ამ პომადას ხმარობის.

9, Rue de la Paix, Paris

156—130

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ქვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია.	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი.	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ქვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:

ოდესისკენ—ხუთშაბათს დილით.

სტამბოლს—კვირაობით, დილას.

ბ) ოდესსიდამ:

ფოთისკენ—ხუთშაბ., ნასად. 3 საათ.

სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ქერჩამდი.	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესსამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ:	მ.	კაპ
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს —ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:

თფილისსა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს —ოთხშაბ.

გ) ბორიდამ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ:	კაპ
ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 29 აპრილს		
ერთი მანეთი ლირს:		
ლონდონში $3^1/_2$ პენსი.	—	84
პარიჟში 271 სანტიმი.	—	89
ესკონტი (სარგებლისფასი)	$7^1/_2$	—
ბანკის ბილეთი 5%	94	-
მოგებიანი (პირველისესხი)	188	25
მოგებიანი (მეორე ხესხი)	184	25
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. საზნ. ბანკისა.	—	--
ხერსონის ბანკის ($5^1/_2$)	79	—
მოსკოვის (5%). . . .	86	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	158	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. გემების	497	—
კავკაზის და მერკურის. .	185	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	712	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	265	—

მაზანდა

თფილისი, 7 მაისს		
პური შორაგალის ფთ.	1	80
ქერი ფუთი. . . .	—	95
ბამბა ერევნისა, ფუთი .	5	10
—ამერიკისა, ფუთი. .	6	20
ბაპინტილი ბამბა ფთ.	7	—
მატყლი თუშური ფთ.	6	70
—თარაქამისა ფთ. .	4	—
აბრეშუმი ნუხური სტ.	3	—
ქონი, ფუთი. . .	4	—
ქონის სანთელი ფუთი.	5	—
სტეარინის სანთელი, ფ.	11	60
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	90
—ცხვრისა, ლიტრა. .	—	90
სპირტი, ვედრო. . .	8	—
შაქარი, ბროც. ფუთი .	8	50
—ფხვნილი ფუთი . .	5	40
ყავა გრგვალი, ფუთი .	20	—
ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	5	30
ოქრო $^1/_2$ იმპერიალი. .	7	47

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Мая 1877 г. Типографія Меликова

გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.